




ბათუმის ტექნიკური
უნივერსიტეტი



WWW.BTU.EDU.GE

იანვარი • თებერვალი • მარტი

NEWSLETTER

BTU AI

BTU-მ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ახალი საგანმანათლებლო პროდუქტები შექმნა. ანალიტიკური კვლევები, საგანმანათლებლო რესურსები, სილაბუსები, წიგნები, სტატიები და პუბლიკაციები, სატრენინგო და სასწავლო მასალა, აგრეთვე გრაფიკული ნამუშევრები და სხვა მრავალი პროდუქტი, რომელიც ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით იქმნება და სხვადასხვა პროცესებში ინერგება ხელმისაწვდომია BTU-ს ვებ გვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე.

გამომცემლობა „ლურჯ ოკეანესთან ერთად, BTU-მ ორ ენაზე გამოსცა ხელოვნური ინტელექტით შექმნილი წიგნი „თანამშრომელთა მოტივაცია.“

BTU AI პანელური დისკუსიები და მასტერკლასები:

- განათლება და ხელოვნური ინტელექტი;
- AI In Marketing;
- პანელური დისკუსია Beyond Human: The Advancements of ChatGPT and GPT-3;
- AI IN DEVOPS;
- ციფრული ხელმისაწვდომობის გაძლიერება: ელექტრონული მმართველობა და საჯარო მმართველობის მომავალი;
- AI კრეატიულ ინდუსტრიებში.

კოდინგის სკოლა 1500 ქალისთვის

ტექნოლოგიებში ქალთა როლის გაძლიერების მიზნით 2022 წლის 1 დეკემბრიდან უპრეცედენტო მასშტაბის ახალი სოციალური პროექტი - „კოდინგის სკოლა 1500 ქალისთვის“ დაიწყო. პროექტის ფარგლებში 8 სამიზნე რეგიონში, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები; გაკეთდა პროექტის ვებ-გვერდი/პლატფორმა; გაფორმდა ოფიციალური თანამშრომლობის მემორანდუმები 20 პარტნიორ კომპანიასთან; გაფორმდა 8 თანამშრომლობის ხელშეკრულება პარტნიორ სკოლებთან; 8 სამიზნე რეგიონში გაკეთდა კოდინგის ოთახების რეაბილიტაცია;

500 ქალი ტექნი

- პროექტი გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის კოორდინირებით მიმდინარეობს.
- პროექტის ფარგლებში, დასრულდა მეორე ნაკადის გადამზადება, ბენეფიციარებისთვის ჩატარდა დასაქმების ფორუმი. წარმატებით გადამზადდნენ მეორე ნაკადის ბენეფიციარები, გადამზადება ჯამში 263-მა ბენეფიციარმა გაიარა. დასრულდა კარიერული ბუთქემფის, ინდივიდუალური მენტორშიფისა და დასაქმების/Pitch Yourself-ის კომპონენტებიც.
- USAID DAI-სთან თანამშრომლობით დამატებით გადამზადდა 40 ბენეფიციარი ციფრული პროდუქტების ტესტირების მიმართულებით.
- პროექტის პირველი და მეორე ნაკადის ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს Joint Effort for Empowering Women in Technology - The sixty-seventh session of the Commission on the Status of Women (CSW) პანელურ დისკუსიაში და თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს დამსწრე საერთაშორისო საზოგადოებას;
- მიმდინარეობს მესამე ნაკადის 325 ბენეფიციარის გადამზადება სხვადასხვა მიმართულებებით.

გაეროს ქალთა სტატუსის 67-ე კომისიაზე BTU-ს რექტორი, ნინო ენუქიძე ექსპერტ პანელისტის რანგში, სიტყვით გამოვიდა.

4 მარტს ნიუ-იორკში გამართულ გაეროს ქალთა სტატუსის 67-ე კომისიაზე BTU-ს რექტორი, ნინო ენუქიძე ექსპერტ პანელისტის რანგში, სიტყვით გამოვიდა.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და განათლება ციფრულ სამყაროში, 500 ქალი ტექნიკური კოდინგის სკოლა 1500 ქალისთვის და სხვა ინიციატივების შესახებ მსჯელობა „ინოვაციები და ტექნოლოგიური ცვლილებები, განათლება ციფრულ ეპოქაში გენდერული ბალანსის მისაღწევად და ქალების გააძლიერებლად" სესიის ფარგლებში გაიმართა.

გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის სხდომა ყოველწლიური ღონისძიებაა, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე აქტუალური თემების გარშემო მსჯელობისთვის სხვადასხვა ქვეყნიდან, მაღალი რანგის დელეგატებს აერთიანებს.

APPLE SWIFT პროგრამის სკოლა

BTU IOS LAB-ში საბავშვო კოდინგის პროგრამის კურსი 3 თვის განმავლობაში გაგრძელდა და მის ფარგლებში ბენეფიციარებმა შეისწავლეს არა მხოლოდ პროგრამირება, არამედ Swift-ის მიმართულებით სამომავლო საერთაშორისო სერტიფიცირებისთვის მოემზადებინ.

ახალი აკრედიტებული საავისტრო პროგრამა BTU-ში: საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგია

BTU-ში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხარდაჭერით, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა ამოქმედდა.

პროგრამა ევროკავშირის მხარდაჭერით შემუშავდა და სასწავლო კომპონენტთან ერთად მოიცავს პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს, შემუშავებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით და სრულად პასუხობს უსაფრთხოების სექტორის მოთხოვნებს. პროგრამა უნიკალურია თავის შინაარსით და აერთიანებს სასწავლო კურსებს ეროვნული უსაფრთხოების, კიბერუსაფრთხოების, დაზვერვის, საერთაშორისო პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, ეკონომიკის, თანამედროვე კონფლიქტებისა და სხვა სფეროებში. კურსებს დარგის წამყვანი ექსპერტები და უსაფრთხოების სფეროს პრაქტიკოსი სპეციალისტები გაუძღვებიან.

BTU COST მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ევროპული თანამშრომლობის ასოციაციის „European Network on International Student Mobility: Connecting Research and Practice“ (ENIS) პროექტის ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას – წლიურ კონფერენციას თბილისში უმასპინძლებს.

UNESCO-ს პროგრამა „PROMOTING INFORMATION LITERACY IN DIGITAL ENVIRONMENT AMONG WOMEN IN GEORGIA.“

პროექტი მონაწილეთა ინფორმაციული წიგნიერების და ციფრული უნარების გაზრდას ემსახურება. პროექტი გრძელვადიან პერსპექტივაში გააძლიერებს ქალების მონაწილეობას ტექნოლოგიებში და გაზრდის მათ მზაობას ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში.

EDUCATION4ENTREPRENEURSHIP - მასშტაბური საერთაშორისო პროექტი მენარეობის მიმართულებით.

პროექტი მეწარმეობის მიმართულებით ვიშეგრადის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკებისა და გამოცდილების გაზიარებას, ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების შექმნაზე ფოკუსირებული საზაფხულო სკოლებისა და ინტენსიური კურსების ინსტიტუციურ განვითარებას ისახავს მიზნად.

პროექტები, ვებინარები, ვორკშოპები, ტრენინგები, მასტერკლასები, პანელური დისკუსიები, ჰაკათონები და სხვა აქტივობები სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ბენეფიციარებისთვის:

- ტრენინგ კურსი NCURA-სთან პარტნიორობით - ტექნოლოგიების ტრანსფერი: კვლევა, მეწარმეობა და ინოვაცია;
- უკრაინელი ქალების გადამზადების პროექტი USAID-ის დაფინანსებით - Safe Haven;
- აქსელერაციის პროგრამა ქალი აგრო მეწარმეებისთვის - USAID სოფლის მეურნეობის პროგრამა;
- Binance Academy Workshop;
- AI Ideathon -იდეათონი Pulsar AI-სთან პარტნიორობით;
- MIT-ის ლექტორის, Dip Patel-ის ლექცია;
- Microsoft-ის სასერტიფიკატო პროგრამების ტრენინგები;
- NCURA - ტრენინგ პროგრამები ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით;
- სტუდენტური ჰაკათონი - Unleashing the power of GPT-3;
- MIT - Massachusetts Institute of Technology-ის ვორკშოპი ინტელექტის, მანქანური სწავლებისა და კომპიუტერული ხედვის შესახებ;
- Blockchain & Metaverse კურსი სტუდენტებისთვის;
- BTU აბიტურიენტებისთვის - სრულად დაფინანსებული ტრენინგები მთელი საქართველოს მასშტაბით;
- DevOps დასაქმების ფორუმი სტუდენტებისთვის;
- დასაქმების ფორუმი IT პროგრამის სტუდენტებისთვის;
- საინფორმაცია შეხვედრა GITA-ს 150 000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტების პროგრამის შესახებ;
- სტუდენტური ღონისძიება - „Adobe World Championship“;
- Phubber-ის დამფუძნებლების მასტერკლასი;
- სემინარი - როგორ დავსაქმდე მსოფლიოს საუკეთესო ტექ კომპანიაში: Microsoft, Amazon, Meta, Google;
- ღია კარის დღეები საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამით დაინტერესებული პირებისთვის;
- ჟან მონეს პროექტის EU-Energy-SSDP-ს ფარგლებში, BTU-ში ვირტუალურ ფორმატში მრგვალი მაგიდის შეხვედრა გაიმართა
- სტარტაპ ვორკშოპების სერია -“პრობლემის იდენტიფიკაცია და იდეის ფორმულირება“;
- სტუდენტური პროექტი „Jobs Shadowing“;
- ინტელექტუალური თამაში: რა? სად? როდის? BTU-ს სტუდენტებისთვის ;

მიზნობრივი საერთაშორისო პროექტები:

- ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროექტები;
- ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტი - HEIn4;
- ერაზმუს+ ჟან მონეს პროექტი - EU-Energy-SSDP;
- შვედური ინსტიტუტის პროექტი - Baltic University Network for International Development of Academic Talents TALNET;
- EMDM - ერაზმუს მუნდუსის ერთობლივი დიჯიტალური პროექტი - Data Driven Digital Marketing;
- Book Translation Grant აშშ-ს საელჩოს დაფინანსებით;
- Promoting Information Literacy in Digital Environment among Women in Georgia - UNESCO IFAP;
- DemComm-ის საგრანტო პროექტი GCSD-სთან თანამშრომლობით;
- Education4Entrepreneurship - Visegrad+;
- Design Thinking as a method of soft skills and digital skills development in higher education to increase employability - Erasmus+ KA220 - HED.

სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური კონსულტაციები/შეთავაზობები:

- განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა ინდივიდუალური კონსულტაცია გაუწია უნივერსიტეტის 284 სტუდენტს;
- განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა ინდივიდუალური კონსულტაცია გაუწია უნივერსიტეტის 40 ლექტორს და ადმინისტრაციულ პერსონალს;
- კარიერული განვითარების ცენტრიდან სტუდენტებთან გაიგზავნა 300+ ვაკანსია;
- ცენტრმა კონსულტაცია გაუწია 150 სტუდენტს;
- სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის მიერ სტუდენტების 1200 მდე განცხადება იქნა განხილული;
- სტუდენტების მოთხოვნების შესაბამისად, დამზადდა 1000 მდე ცნობა/დოკუმენტი;
- სასწავლო პროცესის შესახებ სტუდენტთა უკუკავშირის მიღებისათვის ინდივიდუალურად ყველა პროგრამაზე ჩატარდა ონლაინ შეხვედრები;

კვლევითი აქტივობები:

- კვლევითი ცენტრისა და მეწარმეობის ცენტრის ორგანიზებით გამოქვეყნდა ყოველთვიური კვლევითი ანგარიში Digital Ecosystem Digest, რომელიც მიმოიხილავს მიმდინარე ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ტენდენციებს საქართველოს ციფრული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში; მიმდინარე პერიოდის ანგარიშები მიმოიხილავდა ფინტექ ბაზარს საქართველოში და ელექტრონული კომერციის ადგილობრივ მომხმარებლებს 2022 წელს და ბაზრის მოცულობის პროგნოზებს 2023 წლისთვის.
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა ეროვნულ დონეზე ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებისთვის საჭირო კვლევა დაიწყო. აღნიშნულ კვლევებში BTU-ს სადოქტორო პროგრამის 5 სტუდენტი ჩართული;
- **განახლებული ცოდნის ბანკი**
BTU-ს მიერ შექმნილ ციფრული მეხსიერებასა და სამუშაო გარემოში, ახალი მასალები დაემატა: ქალები, რომლებიც არ არსებობენ. ბიზნესის ისტორია: Meta, ChatGpt სტატია, ასევე ხელოვნური ინტელექტის სექციაში დაემატა AI გენერირებული წიგნები, სტატიები, კვლევები, ტრენინგები, პოდკასტები, ნახატები.